



## სილაბუსი (ნიმუში)

საგანმანათლებლო პროგრამა	
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
	ფაკულტეტი

პროგრამის კომპონენტის სახელწოდება	საბაკალავრო ნაშრომი Bachelor's Thesis
-----------------------------------	--

სტატუსი	
---------	--

სწავლების ენა	
---------------	--

წინაპირობები	
--------------	--

ECTS	1 კრედ. = 26 სთ	სულ სთ	საკონტაქტო სთ	დამოუკიდებელი სთ
------	-----------------	--------	---------------	------------------

ბნსუ-ში სემესტრის ორგანიზება	კვირა	საკონტაქტო სთ	შენიშვნა
საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა და სხვ.	I – XVI		სილაბუსის შესაბამისად
ხელმძღვანელისთვის ნაშრომის გადაცემა	XIV		ნაშრომის ხელმძღვანელთან დაგეგმილ შეხვედრაზე ხდება სტუდენტის ინფორმირება დასკვნით შეფასებაზე დაშვების/არდაშვების შესახებ. ხელმძღვანელის მიერ მიიღება მხოლოდ დასკვნით შეფასებაზე დაშვებული სტუდენტის ნაშრომი (წარედგინება ამონაბეჭდი სახით)
საბაკალავრო ნაშრომის და ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ჩაბარება	XV		ბარდება დეკანატში, დასკვნა - ამონაბეჭდი სახით, საბაკალავრო ნაშრომი - ამონაბეჭდი და ელ. ვერსიების სახით (მიიღება მხოლოდ დასკვნით შეფასებაზე დაშვებული სტუდენტის ნაშრომი)
რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემა			გადაეცემა მხოლოდ დასკვნით შეფასებაზე დაშვებული სტუდენტის ნაშრომი
რეცენზიის ჩაბარება	XVI		ბარდება დეკანატში ამონაბეჭდი სახით რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემიდან არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში. ამავე კვირას ხდება სტუდენტის ინფორმირება ნაშრომის შეფასების (ქულის) შესახებ
საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია)	XVIII	1	დაცვის კომისიას ნაშრომი გადაეცემა დაცვამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე
გამოცდის შედეგის გამოცხადება	გამოცდის შედეგი (საბაკალავრო ნაშრომის და საჯარო დაცვის შემაჯამებელი ქულა) გამოცხადდება დაციდან არაუმეტეს 2 კალენდარულ დღეში		
დამატებითი გამოცდა	ტარდება იმავე სემესტრში, გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში დამატებითი გამოცდების ცხრილის შესაბამისად, მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის და საჯარო დაცვაზე პრეზენტაციის წარდგენა-შეფასებას (თუ არ იყო გადალახული მხოლოდ საჯარო დაცვისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შესაძლებელია როგორც გადამუშავებული, ისე იგივე საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა. ორივე შემთხვევაში ნაშრომები ფასდება საპრეტენზიო კომისიის მიერ). დამატებითი გამოცდისთვის განკუთვნილი დრო (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს		
კონსულტაციები	ტარდება ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ კონსულტაციების ცხრილის მიხედვით კვირაში min 1 სთ., საჭიროებისამებრ - ნაშრომის ხელმძღვანელის ელ-ფოსტის მეშვეობით. კონსულტაციები არ მიეკუთვნება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას და მითითებული საათები არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს		

### ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის (სილაბუსის ავტორის) შესახებ

სახელი, გვარი		საკონტაქტო ტელ.	
თანამდებობა		E-mail	



<p><b>საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა</b></p> <p><b>საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი</b></p> <p><b>საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა</b></p>	<p>1. საბაკალავრო ნაშრომი მიეკუთვნება საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის კომპონენტს, არის წერიტი ნაშრომი, რომელიც შეიძლება შესრულდეს საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში. საბაკალავრო პროგრამის VIII სემესტრის დაწყებამდე: ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს საბაკალავრო ნაშრომების თემებს და, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელების კანდიდატურებს, სტუდენტ ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის თემს (შესაბამისად, ხელმძღვანელს) და განცხადებით ამის შესახებ მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი). სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს მის მიერ არჩეული საბაკალავრო ნაშრომის თემა ან უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. სტუდენტის განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას ეძლევა ახალი საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.</p> <p>2. ბნსუ-ში მოქმედი წესი: ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის (პროფესორთა შემადგენლობიდან) წარმომადგენელი ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული სტუდენტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე როგორც საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა ახალი საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია: დაეხმაროს სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის გეგმის შედგენაში, რელევანტური ლიტერატურის შერჩევაში და მოძიება-დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს და შეაფასოს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი, ჩაუტაროს სტუდენტს კონსულტაციები, მისცეს მას საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და მითითებები, გამოთქვას შენიშვნები, დაეხმაროს სტუდენტს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში, სტუდენტთან ერთად განიხილოს-გაანალიზოს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო, მის მიერ მომზადებული ნაშრომი და პრეზენტაცია, მოამზადოს დასკვნა და სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელი ესწრება ნაშრომის საჯარო დაცვას; ნაშრომის თანახელმძღვანელის დასწრება ნაშრომის საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო. დაცვის კომისიას და სტუდენტს შეუძლიათ მისი მოწვევა, ნაშრომის თანახელმძღვანელს შეუძლია მოითხოვოს დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.</p> <p>3. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტი - "სილფაენის" შრიფტი, ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), ხელმოწერილი ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საბაკალავრო პროგრამის დასახელება, სტუდენტის ვინაობა, საბაკალავრო ნაშრომის დასახელება, შუალედური შეფასების ქულა და ინფორმაცია დასკვნით შეფასებაზე სტუდენტის დაშვების/არდაშვების შესახებ, დასკვნით შეფასებაზე დამშვებული სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა), იქნეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტი - "სილფაენის" შრიფტი, ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ) და დადასტურებული საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერით. ნაშრომის თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში უნდა იყოს მითითებული მისი მოსაზრებები საბაკალავრო ნაშრომის შესახებ.</p>
<p><b>საბაკალავრო ნაშრომის მიზანი</b></p>	<p>საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას დაიხვეწოს სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლით მიღწეული კომპეტენციები.</p> <p>შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის ზოგად მიზნებს, რომლებიც დაკონკრეტდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p> <p>შენიშვნა: ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები გამოხატავს მოსალოდნელ ზოგად შედეგს, რომელიც დაკონკრეტდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p>	
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს გაცნობიერებული და გააზრებული საბაკალავრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული თეორიებისა და პრინციპების, უმთავრესი მომენტების და თავისებურებების კომპლექსური საკითხები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>აქვს კონკრეტულ საკითხებთან მიღებული თეორიული ცოდნის მისადაგების უნარი; საბაკალავრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების სპეციფიკის ცოდნის დემონსტრირების უნარი; მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზის საფუძველზე, ნაშრომის შესასრულებლად წინასწარ მიღებული მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად დაყოფის, დროის მართვისა და დადგენილი გეგმის შესაბამისად სამუშაოების შესრულების უნარი.</p>



დასკვნის უნარი	აქვს პრობლემის განსაზღვრის და იდენტიფიცირების, ნაშრომის თემის და განსახილველი საკითხების ადეკვატური მონაცემების/ინფორმაციის შერჩევის, შეგროვების, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ანალიზის და სინთეზის, მიღებული შედეგების განმარტების და შეფასების, დასკვნების ჩამოყალიბების და დასაბუთების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	აქვს ნაშრომის თემასთან და შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით მოსაზრებების და იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერილობითი ნაშრომის მომზადების და ზეპირად წარდგენის, სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის გადაცემის, ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სამუშაოს შესრულების მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	აქვს უწყვეტი სწავლებისა და ცოდნის განახლების მნიშვნელობის გაცნობიერების, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით ახალი ინფორმაციის და თანამედროვე მონაცემების ათვისების, ინოვაციების და გამოცდილების გაზიარების, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად შეფასების უნარი და შემდგომი სწავლის გაგრძელების მოტივაცია.
ღირებულებები	აქვს გაცნობიერებული პიროვნული პასუხისმგებლობის ნორმები და აქვს მათი დაცვის უნარი.

№	საკონტაქტო სთ.	შინაარსი
1		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - სილაბუსის განხილვა, სტუდენტის ინფორმირება პროგრამის კომპონენტის - „საბაკალავრო ნაშრომის“ მიზნების, დაგეგმილი შედეგების, შეფასების სისტემის და სხვ. შესახებ. საბაკალავრო თემატიკის ზოგადი მიმოხილვა. შესასრულებელი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
2		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
3		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შემდგომი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
4		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
5		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შემდგომი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
6		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
7		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შემდგომი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
8		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
9		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შემდგომი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
10		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
11		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - შემდგომი სამუშაოს განხილვა და დაგეგმვა.
12		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - ნაშრომზე მუშაობა.
13		შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-შეფასება. ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა (ნაშრომის პროექტის განხილვა-ანალიზი).
14		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-ანალიზი, სტუდენტის ინფორმირება დასკვნით შეფასებაზე დაშვების/არდაშვების შესახებ. სტუდენტის მიერ ხელმძღვანელისთვის დასრულებული საბაკალავრო ნაშრომის გადაცემა.
15		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - დასკვნით შეფასებაზე დაშვებული სტუდენტის პრეზენტაციის პროექტზე მუშაობა.
16		ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა - დასკვნით შეფასებაზე დაშვებული სტუდენტის მიერ პრეზენტაციის წარდგენა PowerPoints გამოყენებით, პრეზენტაციის განხილვა.



შენიშვნა: ზემოთ მითითებული განრიგი (მათ შორის, მუშაობის ფორმატი, საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვ.) შეიძლება დარჩეს უზვლელი ან შეიცვალოს ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე.

**სწავლება-სწავლის მეთოდები**

ძირითადია თეორიული მუშაობის მეთოდი, ასევე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობები: მაგ., ახსნა-განმარტება, კონკრეტული სიტუაციის/პრობლემის განხილვა-ანალიზი, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, დისკუსია და სხვ., რაც მიმართულია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაზე, ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაზე და დამოუკიდებელი საქმიანობის სტიმულირებაზე.

შენიშვნა: სწავლების მეთოდები შეიძლება დარჩეს უზვლელი ან შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის და შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებების გათვალისწინებით.

**საბაკალავრო ნაშრომი**

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის მინიმუმ 25-30 გვერდი, შრიფტი - "სილფა-ენი", ძირითადი ტექსტის ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12 Bold, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, ფურცლის ველები - ზემოდან, ქვემოდან და მარცხნიდან 2.5, მარჯვნიდან - 1,5 სმ;
2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა:
  - თავფურცელი - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი (უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და უმაღლესი განათლების საფეხური, საბაკალავრო ნაშრომის დასათაურება, სტუდენტის სახელი და გვარი, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რეცენზენტების სახელი და გვარი, საბაკალავრო ნაშრომის შესწულების ადგილი და წელი);
  - ანოტაცია - უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას (ერთი გვერდის მოცულობით);
  - შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილი, აღწერს ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანას;
  - ტექსტის ძირითადი ნაწილი - შეიძლება დაიყოს თავებად, ქვეთავებად და/ან პარაგრაფებად;
  - დასკვნა - ასახავს საბაკალავრო ნაშრომის შედეგებს;
  - გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:
    - პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; წელი; ნაშრომის სახელწოდება; სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება; ტომის ნომერი; გამოცემის ნომერი; გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი;
    - წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები; გამოცემის წელი; სახელწოდება; გამოცემის ადგილი; გამომცემლობა;
    - ინტერნეტ-რესურსის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორი; ვებ-გვერდის მისამართი; მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით; მასალის მოძიების თარიღი;
    - ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები); წელი; სტატიის დასახელება; ელექტრონული გამოცემის დასახელება; გამოცემის ნომერი; თავი, პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში); ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი;
    - სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში: ქვეყნის დასახელება; უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი; წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი; დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...); დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით; ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი; გამოცემის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი;
    - ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15, 150-161).
3. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის ყველა ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლიდან.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აიკონოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი; ანოტაცია; სარჩევი; შესავალი; თავები; დასკვნა; გამოყენებული ლიტერატურა; დანართები (ცხრილები, სქემები, საილუსტრაციო მასალა და ა.შ.).

**საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი**  
**რეცენზია**  
**(რეცენზენტის დასკვნა)**

საბაკალავრო ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რაც ხდება საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდის დასრულებამდე. რეცენზენტი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რეცენზენტი შეიძლება იყოს ბნსუ-ს ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (პროფესორთა შემადგენლობიდან) ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დარგში პროფესიული გამოცდილების მქონე პირი. რეცენზენტს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული სტუდენტის ნაშრომის რეცენზენტობაზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს მისთვის ნაშრომის გადაცემაზე. სტუდენტს უფლება



აქვს უარი თქვას ნაშრომის კონკრეტულ რეცენზენტზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის ვადის დადგომამდე. სტუდენტის/რეცენზენტის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომს ენიშნება სხვა რეცენზენტი. რამდენიმე რეცენზენტის შემთხვევაში ყველა რეცენზენტი ინდივიდუალურად აფასებს ნაშრომს და აწვადებს რეცენზიას (დასკვნას). რეცენზენტის დასწრება ნაშრომის საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო. საჯარო დაცვის კომისიას და სტუდენტს შეუძლია მისი მოწვევა, რეცენზენტს შეუძლია მოითხოვოს დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. რეცენზია უნდა იყოს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტი - "სილფანის" შრიფტი, ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), დადასტურებული რეცენზენტის ხელმოწერით და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რეცენზენტის ვინაობა, საბაკალავრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, დასკვნა ნაშრომის შესახებ (ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა შენიშვნების/რეკომენდაციების მითითებით და ნაშრომის შეფასება).

**სტუდენტის შეფასება. შეფასების ზოგადი წესი, ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები**

ბნსუ-ში შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით; საბაკალავრო ნაშრომი მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტს, მისი შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (max 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31 ქულა) და დასკვნით შეფასებას (max 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა), რომელიც თავისმხრივ მოიცავს უშუალოდ ნაშრომის შეფასებას (max 20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა) და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას (max 20 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა). დაუმუშავებელი კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს (წილადის სახით მიღებული ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალებს დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ). დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებითი გამოცდის შემთხვევაში მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება კომპონენტის საბოლოო შეფასებაში (0-50 ქულის შემთხვევაში ფორმდება შეფასება F=0 ქულა). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა უშვებს:

5 დადებით შეფასებას:				2 უარყოფით შეფასებას:			
1	91 - 100 ქულა	A	ფრიადი	1	41 - 50 ქულა	FX	ვერ ჩააბარა
2	81 - 90 ქულა	B	ძალიან კარგი	სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება			
3	71 - 80 ქულა	C	კარგი				
4	61 - 70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი	2	40 - 0 ქულა	F	ჩაიჭრა
5	51 - 60 ქულა	E	საკმარისი	ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი, პროგრამის კომპონენტი ახლიდანაა შესასწავლი			

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

max 100 ქულა	შეფასების ფორმები	შეფასების კომპონენტები, მეთოდები და ქულები
60	შუალედური შეფასება	თეორიული სამუშაო 30
		ზეპირი გამოკითხვა 30
40	დასკვნითი შეფასება	საბაკალავრო ნაშრომი 20
		ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია) 20

**შუალედური შეფასება** **სულ - max 60 ქულა**

შენიშვნა: სულ 6 შეფასება, შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ, თითოეული შეფასების ქულა (max 10 ქულა) წარმოადგენს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე მიმართული თეორიული სამუშაოს და ამ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული გამოკითხვის შეფასებების (ქულების) ჯამს. კონკრეტული თეორიული დავალების შეფასებაში 0 ქულის მიღების შემთხვევაში მის შესრულებასთან დაკავშირებული გამოკითხვა არ ტარდება და იწერება შემაჯამებელი 0 ქულა. ქვემოთ მითითებული რაოდენობები წარმოადგენს სტუდენტის შეფასების რაოდენობას (მათ შორის, 0 ქულის მიღების შემთხვევაში).

თეორიული დავალება	რაოდენობა - 6	თითოეულის max შეფასება - 5 ქულა	სულ - max 30 ქულა
შენიშვნა: ქვემოთ მითითებულ შეფასების კრიტერიუმთან/ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება. შეფასების კრიტერიუმთან/ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ზარვეზები ან სხვ.) შემთხვევაში იწერება 0 ქულა. შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში იწერება შემაჯამებელი 0 ქულა.			
2.0	1) შესრულებული სამუშაოს მოცულობა - დავალება შესრულებულია ამომწურავად.		
2.0	2) თეორიული მასალის და ტერმინოლოგიის გამოყენება - არის სრულად და სწორად გამოყენებული.		
3.0	3) ინფორმაციის დამუშავება, გადმოცემა, მსჯელობა, კერძოდ:		
1.0	1. გამოყენებული ინფორმაცია/მონაცემები - არის რელევანტური და სრულყოფილად დამუშავებული.		
1.0	2. ინფორმაციის გადმოცემა - აზრი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ლოგიკურად გადაცემული, ინფორმაცია გადმოცემულია უზუსტობების გარეშე.		
1.0	3. არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნები - მსჯელობა და დასკვნები არის სწორი და დასაბუთებული.		



0	დავალება შესრულებული არ არის / შესრულებულია დავალების 50%-ზე ნაკლები / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.
<b>დისკუსია</b>	<b>რაოდენობა - 6</b> <b>თითოეულის max შეფასება - 5 ქულა</b> <b>სულ - max 30 ქულა</b>
<i>შენიშვნა: ქვემოთ მითითებულ შეფასების კრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება. შეფასების ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომების ან სხვ.) შემთხვევაში იწერება 0 ქულა. შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში იწერება შემაჯამებელი 0 ქულა.</i>	
2.0	1) ინფორმაციის გადმოცემის სიზუსტე - ინფორმაცია გადმოცემულია უზუსტობების გარეშე, თეორიული დასაბუთებისა და ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით.
1.0	2) ინფორმაციის გადმოცემა - აზრი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ლოგიკურად გადმოცემული.
1.0	3) ინფორმაციის დამუკიდებლად გადმოცემა - ინფორმაცია გადმოცემულია დამოუკიდებლად.
1.0	4) არგუმენტირებული მსჯელობა - მსჯელობა არის სწორი და დასაბუთებული, დასკვნები ლოგიკურია.
0	ვერ მსჯელობს საკითხზე / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.
<b>დასკვნითი შეფასება</b> <b>სულ - max 40 ქულა</b>	
<i>შენიშვნა: 1) დასკვნითი შეფასებაზე დაიშვება სტუდენტი რომელმაც შეფასების შუალედურ ფორმას გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; 2) უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში არ ხდება დაცვაზე პრეზენტაციის წარდგენა; 3) დასკვნითი შეფასების ქულა უდრის საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში და საჯარო დაცვაზე მიღებული ქულების ჯამს.</i>	
<b>საბაკალავრო ნაშრომი</b> <b>სულ - max 20 ქულა</b>	
<i>შენიშვნა: 1) ფასდება რეკენზენტის მიერ; 2) ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება. შეფასების ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ზარვეები ან სხვ.) იწერება 0 ქულა. 3) ნაშრომის შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში იწერება შემაჯამებელი 0 ქულა.</i>	
2.0	1) ფორმალური მხარე, კერძოდ:
1.0	1. ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება მოთხოვნებს.
1.0	2. ნაშრომის გაფორმება შეესაბამება მოთხოვნებს.
4.0	2) წერის კულტურა, კერძოდ:
2.0	1. ნაშრომი ენობრივად გამართულია, დაწერილია შეცდომების გარეშე.
2.0	2. აზრის არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადმოცემული გამართული წინადადებებით, მათ შორის კავშირი ლოგიკურია.
14.0	3) შინაარსობრივი მხარე, კერძოდ:
2.0	1. პრობლემა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული.
2.0	2. განხილული საკითხები სრულად შეესაბამება ნაშრომის თემას, ნაშრომის თეორიული დასაბუთება სწორია.
2.0	3. გამოყენებული ინფორმაცია არის რელევანტური და სრულყოფილად დამუშავებული.
2.0	4. შერჩეული მასალა, პირველწყაროები და ლიტერატურა სრულად შეესაბამება ნაშრომის თემას, მათი რაოდენობა არის საკმარისი, ანალიზი - სრული.
2.0	5. ინფორმაცია გადმოცემულია უზუსტობების გარეშე ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით.
2.0	6. მსჯელობა ლოგიკური და დასაბუთებულია.
2.0	7. დასკვნები არის სწორი და სრულად ჩამოყალიბებული,
0	ნაშრომი წარდგენილი არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.
<b>ნაშრომის საჯარო დაცვა (პრეზენტაცია)</b> <b>სულ - max 20 ქულა</b>	
<i>შენიშვნა: 1) ტარდება PowerPoints გამოყენებით, პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი - საშუალოდ 20 წ., ფასდება როგორც წარდგენილი პრეზენტაცია, ისე სტუდენტის მიერ წარმოჩენილი კომპეტენციები; 2) ფასდება დაცვის კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად (თითოეულის max შეფასება - 10 ქულა), თითოეული კომისიის წევრის შეფასება (ქულა) წარმოადგენს შეფასების ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0 ქულა. ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შესაბამისობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ზარვეები ან სხვ.) იწერება 0 ქულა; 3) საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასება (ქულა) წარმოადგენს დაცვის კომისიის წევრების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალოარიტმეტიკულ სიდიდეს.</i>	
8.0	1) პრეზენტაციის ტექნიკური მხარე, კერძოდ:
2.0	1. პრეზენტაციის ვიზუალური მხარე: პრეზენტაცია მომზადებულია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამ(ებ)ის გამოყენებით, მისი ვიზუალური მხარე სრულყოფილია.
2.0	2. პრეზენტაციის სლაიდების ტექსტი ქმნის სრულ წარმოდგენას ნაშრომის შინაარსზე.
2.0	3. IT ფლობის დემონსტრირება: პრეზენტაცია ჩატარდა სრულყოფილად IT-ის გამოყენებით.
2.0	4. დროის მართვა: პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი დაცულია.

12.0	2) პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან), კერძოდ:
2.0	1. ჩატარებული პრეზენტაცია ქმნის სრულ და მკაფიო წარმოდგენას ნაშრომის თემაზე და შესრულებულ სამუშაოზე.
2.0	2. აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა (ყესტიკულაცია, პაუზები და სხვ.) რელევანტურია.
2.0	3. ინფორმაცია გადმოცემულია გამართული წინადადებებით, მათ შორის კავშირი ლოგიკურია; აზრი არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადაცემული.
2.0	4. ინფორმაცია გადმოცემულია უზუსტობების გარეშე, თეორიული დასაბუთებით და ტერმინოლოგიის გამოყენებით.
2.0	5. კითხვებზე პასუხი რელევანტური და ამომწურავია.
2.0	6. დისკუსიაში მონაწილეობა და თეორიული ცოდნით ოპერირება შეუფერხებელია, მსჯელობა ლოგიკურია, დასკვნები - ამომწურავი და დასაბუთებულია.
0	პრეზენტაცია მომზადებული/წარდგენილი არ არის / ზემოთ მითითებული ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით.
შენიშვნა: ზემოთ მითითებული შეფასების რაოდენობები, მეთოდები და კრიტერიუმები შეიძლება დარჩეს უცვლელი ან შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ.	

პირითადი ლიტერატურა	1.	
---------------------	----	--

დამატებითი ლიტერატურა	1.	
-----------------------	----	--

ინტერნეტ-და სხვა რესურსები	1.	
----------------------------	----	--

## საბაკალავრო ნაშრომი

საბაკალავრო ნაშრომი	დასათაურება
---------------------	-------------

სტუდენტი	სახელი, გვარი
----------	---------------

<b>საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
უმადლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი	
<b>უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება</b>	შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
მისამართი	
საკონტაქტო ტელეფონი	E-mail
<b>საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი</b>	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
<b>საბაკალავრო ნაშრომის თანახელმძღვანელი</b>	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	
<b>საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი</b>	
თანამდებობა / დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	

ნაშრომის შესრულების ადგილი

ნაშრომის შესრულების წელი